სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

31 / ივლისი / 2026 წ.

KA080183789882026

№ **2327**

განკარგულება

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2026 წლის 31 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT260015228, NAT260015026, NAT260014989, NAT260015186, NAT260014130, NAT260015212, NAT260015242, NAT260015182, NAT260014747, NAT260014294, NAT260015082, NAT260015225, NAT260015214, NAT260014943, NAT260014942, NAT260015195, NAT260015260, NAT260014920, NAT260015223, NAT260014955, NAT260014389, NAT260014861, NAT260014965, NAT260013859, NAT260015276, NAT260014974, NAT260014936, NAT260015041, NAT260015181, NAT260014926, NAT260015122, NAT260014395, NAT260013457, NAT260014796, NAT260015251, NAT260015266, NAT260015143 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო SPA260000679, SPA260000680, SPA260000682 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT260015228); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტმა (NAT260015026); საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (NAT260014989); ააიპ „ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტულმა სკოლამ“ (NAT260015186); სსიპ „ეროვნულმა სატყეო სააგენტომ“ (SPA260000679, SPA260000680); ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის გამგეობამ (NAT260014130); ააიპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა“ (NAT260015212); შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრმა“ (NAT260015242); ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT260015182, NAT260015181); შპს „ბათუმის წყალმა“ (NAT260014747, NAT260015251); შპს „საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ (NAT260014294, NAT260015276); ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ“ (NAT260015082); ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატმა (NAT260015225); ააიპ

„სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელმა სააღმზრდელო დაწესებულებამ“ (NAT260015214); სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი)“ (NAT260014943); სსიპ „საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა“ (NAT260014942); სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ (NAT260015195); სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტომ“ (NAT260015260, NAT260015266); სსიპ „სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტომ“ (NAT260014920); ააიპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება მომავალმა“ (NAT260015223); სსიპ „იუსტიციის სახლმა“ (NAT260014955); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ (NAT260014389, NAT260014395); ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT260014861); სსიპ „ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის № 199 საჯარო სკოლამ“ (NAT260014965); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (NAT260013859); საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT260014974); სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ“ (NAT260014936); საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (SPA260000682); შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-მა (NAT260015041); შპს „საგანმანათლებლო რესურსებმა“ (NAT260014926); ააიპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ“ (NAT260015122); სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ (NAT260013457); საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (NAT260014796); სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალმა“ (NAT260015143) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ლაცაბიძე